საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/55

ქ. ბათუმი 22 ოქტომბერი, 2021 წელი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 28.09 № 21-05/10 სხდომის ოქმის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 18 ოქტომბრის N1104453 სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N06 გადაწყვეტილებაში (დანართი 1-ში) შევიდეს შემდეგი ცვლილებები

ა) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. დარგობრივ დეპარტამენტს შეიძლება უხელმძღვანელოს დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით, ამ დეპარტამენტის წევრთაგან დანიშნულმა პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა (გამონაკლისი დაიშვება დეკანის წარდგინებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით). ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე

ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მტკიცდება დარგობრივი დეპარტამენტების (მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელების) განახლებული შემადგენლობა.";

ბ) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტს დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტის დანიშვნის ბრძანებით განისაზღვრება ფაკულტეტის ერთი ან ერთზე მეტი დარგობრივი დეპარტამენტი, რომელშიც იმუშავებს ეს სპეციალისტი".

გ) **მე-12 მუხლის მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:**

,,14. დეკანის თანაშემწეს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. **დეკანის თანაშემწის ფუნქციებია:**

ა) დაგეგმოს და ორგანიზება გაუწიოს ფაკულტეტის დეკანის შეხვედრებს;

ბ) განახორციელოს ფაკულტეტის ბაზაზე არსებული საერთაშორისო კონფერენციების/სიმპოზიუმების/სეზონური სკოლების ორგანიზაციული ადმინისტრირება;

გ) იმუშაოს უცხოურ უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობების გაძლიერებაზე (საფაკულტეტო თანამშრომლობის ფარგლებში) .

დ) აკადემიური და მოწვეულ პერსონალს გაუწიოს კონსულტაცია სამეცნიერო საქმიანობასა და საგრანტო პროექტების მოძიება/შემუშავებასთან დაკავშირებით;

ე) სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ობიექტების მოძიება (ელექტრონული ბაზის შექმნა), სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ქსელის გაფართოების მიზნით; ორგანიზება გაუწიოს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას;

ვ) ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიღწევების პოპულარიზაციას, მარკეტინგული მიზნებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება;

ზ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო მიზნებიდან და სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდინარე სტუდენტების (ქართველის და უცხოელის) კონსულტირება;

თ) ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდისა და ფაკულტეტის ველზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი

განკარგულების შესაბამისად წარდგენა;

ი) ფაკულტეტის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე ფაკულტეტის დეკანის სხვა დავალებების შესრულება.

2. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით ფაკულტეტის კონსოლიდირებული დებულების მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების და ფაკულტეტის კონსოლიდირებული/განახლებული დებულების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**